საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №425

2020 წლის 7 აგვისტო ქ. ბათუმი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 7 აგვისტოს N MES 3 20 0000672696 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ცნობილი ქართველი პოეტის, პროზაიკოსის, მთარგმნელისა და მეცნიერის ჯემალ ჯაყელის ღვაწლის დაფასების მიზნით, დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად ოჯახის დასახმარებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 6 000 (ექვსი ათასი) ლარი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) უზრუნველყოს მიზნობრივი დაფინანსება.

3. კონტროლი გამოყოფილი თანხის მიზნობრივ ხარჯვაზე დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (მ. ხაჯიშვილი).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე